პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 ივლისი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 172 (15385)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმა — კანონი!

ქარბ მოსავალს იღებენ წელს გურჯაანის რაიონის ხოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის მხვნელ-თესველები. აქ სულ მოსამკელი აქვთ 215 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები. ამ დღეებში დიდი სამუშაო აქვთ კომბაინერებს, კოლმეურნეებს. პირველი ათობით ჰექტარი მომკეს და საშუალოდ ჰექტარზე ლებავენ 30 ცენტნერ ხორბალს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა.

მკასთან ერთად საკვებმომპოვებლები იმარაგებენ თივას. ვაზისუბნელები წელს დამზადებენ 600 ტონა თივას, 200 ტონა ნამჯას, 1.000 ტონა სილოსს.

სურათზე: ნამჯის მექანიზებული დამზადება ვაზისუბნის კოლმეურნეობაში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზეგეგმითი „შავი ოქრო"

ტყიბული. (საკ. კორ.). ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარი კონვეიერის თავზე განუწყვეტლივ კიაფობს წითელი ფარცვლავი. ეს იმის ნიშანია, რომ გამამდიდრებელები კვლავ წარმატებით ასრულებენ საოჯახო კონცენტრატის გამოშვების საფიცალამისო დავალებას. ფაბრიკის კოლექტივმა საქმობლის ვადაზე 4 დღით ადრე უპატაკა ნახევარი წლის დავალების შესრულება. დამცველიური შრომის რიტმი კიდევ უფრო გაძლიერდა ივლისში. პირველ ათ დღეში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას გაეგზავნა 2 ეშელონი ზეგეგმითი „შავი ოქრო".

ბოლო ხანებში მრავალი ტექნიკური სიახლე დაინერგა ფაბრიკაში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესი, შემცირდა ტონა პროდუქციის თვითღირებულება, მიღებულია 23 ათასი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება.

მაღალი ხარისხით

თბილისი. („კომუნისტის" კორ.). საიუბილეო წელს გამოეშვათ მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია, — ამ დევიზით შრომობს თბილისის ტყავ-საგალანტერეო ფაბრიკის კოლექტივი. ეს ჭეშმარიტ ფაქტად გადამეტებით გამოუშვეს 38 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახერხეს 88 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია. მიიღეს 402 ათასი მანეთი მოგება.

ტყავ-გალანტერიის ოსტატების ნაწარმი დიდი მოწონებით სარგებლობს, რადგან მისი ხარისხი თანამედროვე მოთხოვნის დონეს შეესაბამება. წლის განვლილ პერიოდში საწარმოში ბევრი რამ გაკეთდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. შედეგიც ჩანს — გამოშვებული პროდუქციის 98,3 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ო. ი. ლოლაშვილის საქართველოს სსრ საშინაოსა და მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:** დანიშნოს ამხ. ოთარ ილიას-ძე **ლოლაშვილი** საქართველოს სსრ საშინაოსა და მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 24 ივლისი.

მკიან გარდაბნელები

გახურებული და დაძაბული მუშაობის დროა გარდაბნის რაიონის ულიანოვკის საბჭოთა მეურნეობაში. მხვნელ-მთესველები ამუშაობენ ძმადნაფიცობის ფასეულობებზე, ეკონომიკურ ინტერესებზე, ეკონომიკურ ინტერესებზე, ეკონომიკურ ინტერეს

ხუთწლეულის მძლავრი ნაბიჯები

სსრ კავშირის ცენტრალური
სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

სამაგისტრალო ელმავლები:		
ცალი	175	105
ათასი ცხენის ძალა	1302	103
სატვირთო სამგზავრო ვაგონები — ათასი ცალი	33,9	108
ავტომობილები — ათასი ცალი	657,7	121
მათ შორის:		
სატვირთო	294,3	104
მსუბუქი	337,4	144
ფეტონები	26,0	110
ავტომობილის სათადარიგო ნაწილები — მილიონი ძანეთისა	503	109
ტრაქტორები — ათასი ცალი	237	100,9
ტრაქტორის სათადარიგო ნაწილები — მილიონი ძანეთისა	434	105
ტრაქტორის მისაბმელები — ათასი ცალი	170	102
სასოფლო-სამეურნეო ძანქანები — სული — მილიონი ძანეთისა	1269	112
სასოფლო-სამეურნეო ძანქანათა სათადარიგო ნაწილები — მილიონი ძანეთისა	139	110
კომბაინები — ათასი ცალი:		
ძარცვეულის ასაღები	48,7	96
სამარცვლეულის ასაღები	3,9	125
ყარტოფილის ასაღები	4,3	109
ჯარხლის ასაღები	5,4	109
სილოსის ასაღები	26,0	132
ბამბის ასაღები ძანქანები — ათასი ცალი:		
ფიზიკური ერთეულებით	3,3	99,2
ორმწყრივიანი ეკიპაჟებით	6,0	108
ამორეკი ნაგებები — ათასი ცალი	10,2	116
ექსკავატორები — ათასი ცალი	19,6	105
ბულდოზერები — ათასი ცალი		
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობათა, მიერ დაბაზებული ხე-ტყის გარდა) — მილიონი კუბური მეტრი	160	101
ცელულოზა — მილიონი ტონა	2,8	105
ქაღალდი — მილიონი ტონა	2,3	104
მუყაო — მილიონი ტონა	1,4	104
ცემენტი — მილიონი ტონა	51,2	104
ბაკურა რკინიბეტონი — მილიონი კუბური მეტრი	47	105
აგური — მილიარდი ცალი	21,4	102
შიფერი — მილიარდი პირობითი ფილა	3,2	106
რბილი სახურავი — მილიონი კვადრატული მეტრი	684	103
ფანჯრის მინა — მილიონი კვადრატული მეტრი	120	103
ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი:		
ბამბის	3224	102
შალის	342	102
სელის	392	102
აბრეშუმის	619	104
შეკერილი ნაწარმი — მილიარდი მანეთისა	8,7	103
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	422	100,7
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	221	100,9
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	332	96
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება) — მილიონი ტონა	3,8	108
ირეგეული — ათასი ტონა	1239	105
საქმელი თევზეული — მილიონი მანეთისა	992	98
ერბო-კარაქი — ათასი ტონა	515	112
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — მილიონი ტონა	10,6	101
ცხიმოანი ყველი — ათასი ტონა	238	101
ძეცხარეული ზეთი — მილიონი ტონა	1,5	95
საკონდიტრო საქონელი — მილიონი ტონა	1,5	101
კონსერვები — მილიარდი ქილა	3,3	106
კომბინირებული საკვები — მილიონი ტონა	15	106
სრულფასური სარეცხი საშუალებანი — ათასი ტონა	268	108
საათები მილიონი ცალი	22,1	106
ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელი — მილიონი ცალი	367	115
სორტული ჭურჭელი — მილიონი მანეთისა	104	118
რადიომიმღებები და რადიოლები — მილიონი ცალი	4,4	101
ტელევიზორები — მილიონი ცალი	2,9	98
მაცივრები — მილიონი ცალი	2,5	110
სარეცხი მანქანები — მილიონი ცალი	1,6	73
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასი ცალი	447	103
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები — მილიონი ცალი	2,3	103
ავეჯი — მილიარდი მანეთისა	1,6	109
ელექტრომტვერსასრუტები — ათასი ცალი	985	111

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია მეტი: 32 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 11 მილიონი ტონა ნავთობი, 5,7 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, 6,6 მილიონი ტონა ქვანახშირი, 1,9 მილიონი ტონა თუჯი, 2,6 მილიონი ტონა ფოლადი, 2,1 მილიონი ტონა შავი ლითონების ნაგლინი, 5,5 მილიონი მეტრი ფოლადის მილები, 2,4 მილიონი ტონა მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულებით), 490 ათასი ტონა გოგირდმჟავა, 74 ათასი ტონა პლასტიკური მასები და სინთეზური ფისები, 33 ათასი ტონა ქიმიური ბოჭკოები, 51 მილიონი მანეთის ლითონსაჭრელი ჩარხები, 161 მილიონი მანეთის ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, 114 მილიონი მანეთის გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებანი, 14 ათასი ცალი სატვირთო ავტომობილი და ავტობუსი, 102 ათასი ცალი მსუბუქი ავტომობილი, 41 მილიონი მანეთის ავტომობილის სათადარიგო ნაწილები, 135 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანების, 12 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა სათადარიგო ნაწილები, 2 მილიონი ტონა ცვენტი, გაიზარდა ფერადი და იშვიათი ლითონების, ნავთობქიმიისა და საავტომობილო მრეწველობის, ტყეთმოქმედებისა და ბევრი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოება.

იმავე პერიოდთან შედარებით წარმოებულია მეტი სახალხო მოხმარების საქონელი: 103 მილიონი კვადრატული მეტრი ყველა სახეობის ქსოვილი, 227 მილიონი მანეთის შეკერილი ნაწარმი, 4,8 მილიონი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი, და ზედა ტრიკოტაჟი, 297 ათასი ტონა ხორცი, 55 ათასი ტონა ერბო-კარაქი, 200 მილიონი ქილა კონსერვები, 48 მილიონი ცალი ფაიფურ-ქაშანური ჭურჭელი, 16 მილიონი მანეთის სორტული ჭურჭელი, 223 ათასი ცალი მაცივარი, 128 მილიონი მანეთის ავეჯი, 140 ათასი ცალი ელექტრომტვერსასრუტი, 20 ათასი ტონა სინთეზური სარეცხი საშუალებანი.

გაუმჯობესდა ნაწარმოთა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. ელექტროსადგურებში სათბობის ხვედრითი ხარჯი შემცირდა 1,4 პროცენტით, შავ მეტალურგიაში ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენება გაუმჯობესდა 2 პროცენტით, ფანგბადკონვერტორული ფოლადის გამოდნობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები — 10 პროცენტით; ცემენტის მრეწველობაში მბრუნავი ღუმელებისა და წმანქანების საათობრივი მწარმოებლობა გაიზარდა 2 პროცენტით. ქვანახშირის შახტებში ქვანახშირის სადღეღამისო მოპოვება მოქმედი ასაწმენდი სანგრევიდან გადიდდა 7 პროცენტით. ბამბეულის, სელის, შალისა და აბრეშუმის მრეწველობის საწარმოებში გაიზარდა სართავი და საქსოვი მოწყობილობის მწარმოებლობა. შემცირდა სამრეწველო პროდუქციის **ფასთა** ერთეულზე **ანაგების** ნახევარი წლის გეგმა მთლიანად სახალხო მეურნეობასა და მრეწველობაში შესრულდა. 1971 წლის პირველ ნახევართან შედარებით მოგება გაიზარდა 9 პროცენტით, მათ შორის მრეწველობაში — ასევე 9 პროცენტით.

მართალია მრეწველობამ მთლიანად შეასრულა ნახევარი წლის გეგმა, მაგრამ საწარმოთა ნაწილს არ შეუსრულებია საწარმოო გეგმები და დაგროვების გეგმები. არ შესრულებულა კაუსტიკური სოდის, გოგირდმჟავას, ვეარაბგასაყვანი კომბაინების, ნავთობაპარატურის, მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობის, სატვირთო ვაგონების, მუყაოს, საშენი აგურის, ტყავის ფეხსაცმლის, საქმელი თევზეულისა და ზოგიერთი სხვა სახეობის ნაწარმის გამოშვების გეგმა; ყველგან როდი უშვებენ საჭირო ასორტიმენტისა და ძალიან ხარისხის პროდუქციას. მთელ რიგ ახლად გადაცემულ ობიექტებში ნელა ითვისებენ პროდუქციის წარმოების, თვითღირებულების და შრომის ნაყოფიერების საპროექტო დონეს.

* * *

საძეცნიერო-საკვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები განაგრძობდნენ მუშაობას სიხალხო მეურნეობის ყველა დარგში **მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის** უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადასაჭრელად.

ათვისებულია და დაიწყო 1500-მდე ახალი სახეობის ნაკეთობათა წარმოება ჩარხმშენებლობაში, ხელსაწყოთმშენებლობაში, რადიო და ელექტრონულ მრეწველობაში, **ძირძე** მანქანათმშენებლობაში, ავტომობილმშენებლობაში, ქიმიურ და ნავთობის, საგზაო და სამშენებლო მანქანათმშენებლობაში, მეტალურგიაში, ქიმიასა და ნავთობქიმიაში და მთელ რიგ სხვა დარგებში. კერძოდ, ათვისებულია დამრეცი ქანებიდან ქვანახშირის ამოსაღები თვითმოძრავი კომბაინის; დახრილი ამორეული სახვრეულების გასაყვანი მოწყობილობის კომპლექსის; ნავთობპროდუქტების გადასატანად 120 ტონა ტვირთამწეობის 8-ღერძიანი ცისტერნის, **რიცხობრივი** **საპროგრამო** მართვის ლითონსაჭრელი ჩარხების ახალი მოდელების; სხვადასხვა კლიმატურ პირობებში მუშაობისათვის ვანკუთვნილი დიდი ტვირთამწეობის ავტომობილების ახალი მოდელების; ელექტროდამტვირთელების, ელექტროშტაბელერების; ელექტროფორეზები; რთული მაღალკონცენტრირებული სასუქების; ახალი საშენი მასალებისა და ბევრი სხვა სახეობის ნაკეთობების წარმოება.

ინერგებოდა პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, ბორცელდებოდა წარმოების შედგომი კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ტექნოლოგიური პროცესებისა **და** წარმოების მართვაში ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების გამოყენებით გრძელდებოდა მშენებლობის პროგრესული მეთოდების დანერგვა, ახალი მასალების გამოყენება საშენი კონსტრუქციებისა და ნაკეთობების დამზადებისას.

ამასთანავე მთელ რიგ სამინისტროთა ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს **სამეცნიერო-კვლევით** სამუშაოთა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გეგმები არ შეუსრულებიათ.

მანქანათმშენებლობის საწარმოებში ჯერ კიდევ უშვებენ მნიშვნელოვანი **რაოდენობის** პროდუქციას, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს შრომის **ნაყოფიერების** გადიდების საჭირო ტემპებს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში.

სახალხო მეურნეობაში **დაინერგა 1,8 მილიონზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება,** რაც იძლევა დაახლოებით 4,7 მილიარდ მანეთ ეკონომიას წელიწადზე გადაანგარიშებით.

II. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ორგანიზებულად დაამთავრეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა და უზრუნველყვეს იქ საშემოდგომო კულტურების ხელახლა დათესვა, რომლებიც მძიმენელოვან ფართობებზე დაიღუპა სუსხიანი ზამთრის გამო.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთელი **ნათესი ფართობი 1972 წელს** ჩვენს ქვეყანაში შეადგენს 210,3 მილიონ ჰექტარს, აქედან მარცვლეული კულტურები დათესილია 122,3 მილიონ ჰექტარზე. გასულ წელთან შედარებით გაფართოდა მარცვლეული კულტურების, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, სოიის, **ბოსტნეულისა** და ზოგიერთი სხვა კულტურის ნათესები. ქვეყნის ყველა რაიონში გაჩაღდა ოთბვა და საკვები დამზადება. მთელ რიგ რაიონებში ნათესები ვითარდებოდა ტყის ნაკლებობის პირობებში. ცხელმა და მშრალმა ამინდმა დააჩქარა პურეულის დამწიფება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ მარცვლეულის აღებას.

პროდუქტიული პირუტყვისა და ფრინველის სულადობამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა ფერმერულ მეურნეობებში შეადგინა (მილიონი სული):

	1 ივლისისათვის 1971 წელი	1972 წელი	1972 წელი პროცენტებით 1971 წლის შესაბამისი შედარებით
მსხვილფეხა რქოანი პირუტყვი	76,6	79,6	104
მათ შორის ძროხა	24,8	25,5	103
ღორი	51,0	51,6	101
ცხვარი და თხა	137,9	135,4	98
ფრინველი	474,6	501,8	106

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა: ხორცისა — 5 პროცენტით, აქედან ღორის ხორცისა — 11 პროცენტით და ფრინველის ხორცისა — 15 პროცენტით; რძისა — 4 პროცენტით, კვერცხისა — 13 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდდა შემდეგი ოდენობით:

	წლის პირველი ნახევარი 1971 წ.	1972 წ.	1972 წლის პროცენტებით 1971 წლის შესაბამისი შედარებით
პირუტყვი და ფრინველი (ტაბლა წონა) — ათასი ტონა	6446	6922	107
რძე — მილიონი ტონა	23,0	24,4	106
კვერცხი — მილიარდი ცალი	12,7	14,1	111

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმა ზეგეგმით შესყიდვის დადგენილ მოცულობასთან ერთად წლის პირველ ნახევარში შესრულდა: პირუტყვის და ფრინველისა — 110 პროცენტით, კვერცხისა — 111 პროცენტით და რძისა — 99,5 პროცენტით.

გრძელდებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება.

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების **კაპიტალურმა დაბანდებებმა სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულად** სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით შეადგინა 9,4 მილიარდი მანეთი და 1971 წლის პირველ ნახევართან შედარებით 7 პროცენტით გადიდდა.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა ტექნიკისა და მინერალური სასუქების მიწოდების ნახევარი წლის გეგმა შესრულდა.

ნახევარი წლის მანძილზე მიწოდებულია: 151 ათასი ტრაქტორი, მათ შორის 63 ათასი სახნავი; 92 ათასი სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 46 ათასი მარცვლის ასაღები, 5,7 ათასი ჭარხლის ასაღები, 25 ათასი სილოსის ასაღები, 3,7 ათასი სამინდის ასაღები და 5,4 ათასი კორტოფილის ასაღები კომბაინი, 3 ათასი ბამბის საკრეფი მანქანა, 27 ათასი მწკრივად სამკელი მანქანა, 106 ათასი ტრაქტორის გუთანი, 9,2 ათასი დისკოიანი საბმავი, 83 ათასი კultივატორი, 87 ათასი სათესი მანქანა, 74 ათასი სეთრის მანქანა, 23 ათასი ტრაქტორის ფოცხი, 23 ათასი მინერალური და 28 ათასი ორგანული სასუქების გამბნევი, 5,4 ათასი დამატებითი საკვების უნივერსალური მოსაფრქვევი, 5,7 ათასი საწვიმებელი მანქანა, 11 ათასი წყნეს-ამკრეფი, 42 ათასი უნივერსალური სატვირთელი, 29 ათასი საწველი დანადგარი, 11 ათასი მარცვლეულის საწმენდი მანქანა და ბევრი სხვა მანქანა და ინვენტარი.

სოფლის მეურნეობამ მიიღო 27 მილიონი ტონა **მინერალური სასუქები** და 404 ათასი ტონა საკვები ფოსფატები. მინერალური სასუქების მიწოდება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 2,2 მილიონი ტონით, საკვები ფოსფატებისა — 199 ათასი ტონით.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ შეადგინა 2 ტრილიონი ტონა-კილომეტრი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 4 პროცენტით გაიზარდა. ყველა სახეობის ტრანსპორტის **მგზავრბრუნვამ** შეადგინა 280 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი და 6 პროცენტით გაიზარდა.

ნახევარი წლის გეგმის შესრულება ტრანსპორტის სახეობათა მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	შესრულდა 1972 წლის პირველ ნახევარში	ნახევარი წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1972 წლის პირველი ნახევარი პროცენტებით 1971 წლის პირველ ნახევართან შედარებით
ტვირთბრუნვა — მილიარდი ტონა-კილომეტრი			
რკინიგზის ტრანსპორტი	1361	102	104
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	69	100,9	105
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	35	100,6	107
ნავთობსადენი ტრანსპორტი	182	102	116
ტვირთების გადაზიდვა — მილიონი ტონა			
რკინიგზის ტრანსპორტი	1537	101	104
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	151	103	107
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	2020	100,9	105
ნავთობსადენი ტრანსპორტი	189	102	110

საზღვაო ტრანსპორტმა შეასრულა ტვირთზიდვის ნახევარი წლის გეგმა საკაპიტალო და სახელგარეთ ნაოსნობაში.

სამდინარო ტრანსპორტმა 1971 წლის პირველ ნახევართან შედარებით მგზავრბრუნვა გაადიდა 13 პროცენტით და ავიატვირთზიდვის მოცულობა — 12 პროცენტით. მგზავრბრუნვის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, ხოლო ავიაგადაზიდვის საერთო მოცულობა არ შესრულებულა. სახალხო მეურნეობის დარგებში ავიაციის გამოყენების სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით; ამ სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა 6 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტმა შეასრულა ქვანახშირის, ფერადი ლითონებიდან მადნისა და გოგირდის ხედლეულის, შავი ლითონების, ლითონის კონსტრუქციების, ხე-ტყისა და პურეულის, მინერალური სასუქების გადაზიდვის ნახევარი წლის გეგმა; არ შესრულებულა კოქსის, ნავთობის ტვირთის, ტორფისა და მისი პროდუქციის, რკინისა და მანგანუმის მადნის, ფლუსების, ცეცხლგამძლე მასალების, ცემენტის, სამრეწველო ნედლეულისა და საყალიბე მასალების, გრანულირებული წრდების დადაზიდვის გეგმა. შესრულდა ლოკომოტივის საშუალო-სადღეღამისო მწარმოებლობის გეგმა. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა გადაზიდვა დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერება და შეკცირდა ტვირთზიდვის თვითღირებულება. რამდენადმე არ შესრულებულა სატვირთო ვაგონის საშუალო-სადღეღამისო მწარმოებლობის გეგმა. გადიდდა ვაგონების მოძღვენა სამრეწველო საწარმოთა მისასვლელ გზებზე, ბევრ შემთხვევაში დაშვებული იყო ვაგონების არასრული დატვირთვა.

სამდინარო ტრანსპორტმა გადაკარბებით შეასრულა მშრალი ტვირთების, ტაგად შეკრული ხე-ტყისა და შეშის გადაზიდვის გეგმა; არ შესრულებულა ჩასხმის წესით ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის გეგმა.

საერთო სარგებლობის **საავტომობილო ტრანსპორტზე** რომელიღაც ამაღლდა სატვირთო ავტომობილების მწარმოებლობა. ავტომობილების ფუჭი გარბენი, გარკვეული შემცირების მიუხედავად, კვლავ დიდია.

კავშირგაბმულობის საწარმოთა (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო) პროდუქციის საერთო მოცულობა 8 პროცენტით გადიდდა; მაგრამ ნახევარი წლის გეგმა მთლიანად არ შესრულებულა;

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის **საწარმოებმა მოგების გეგმა** შეასრულეს.

IV. კაპიტალური მშენებლობა

განვლილ ნახევარ წელიწადში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ამოქმედდა 17 მილიარდი მანეთის **ძირითადი ფონდები.**

ელექტროსადგურებში ამოქმედდა 1,7 მილიონი კილოვატი ახალი სიმძლავრეები, მათ შორის თვითეული 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგეტიკული ბლოკები კოსტრომისა და ირიკლინსკის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურებში და თვითეული 200 ათასი კილოვატი სიმძლავრისა ბატურისა და ესტონეთის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურებში, 250 ათასი კილოვატი სიმძლავრის უნიკალური თბოსადგური ტურბინი „მოსენერგოს“ 22-ე თბოელექტროსადგურში.

შავ მეტალურგიაში ამოქმედდა წვრილსორტული დგანი დასავლეთ ციმბირის ქარხანაში, საკრაკავი ბატარეა ჩერეპოვეცის ქარხანაში, წიდის გრანულირების დანადგარი კრივოროგის ქარხანაში. პირველი ნაგნობი გამოუშვა მესამე კოსვერტორმა ყარაგანდის კომბინატში. რკინის მადნის მოპოვების სიმძლავრეები გადიდდა ბაპოროფეის კომბინატში და მარგანეცის მადნისა — სამთოგამამდიდრებელ კომბინატში დნეპროპეტროვსკის ოლქში.

ფერად მეტალურგიაში ახალი სიმძლავრეები ამოქმედდა ჩიმკენტის ტყვიის ქარხანაში, კრასნოიარსკისა და ბრატსკის ალუმინის ქარხნებში, ალმალიკის სამთომეტალურგიულ კომბინატში.

ამოქმედდა ახალი სიმძლავრეები **ნავთობგადასამუშავებელ** და **ნავთობქიმიურ მრეწველობაში,** ქვანახშირის მოპოვებისა — **ქვანახშირის მრეწველობაში,** მინერალური სასუქების, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების წარმოებისა — **ქიმიურ მრეწველობაში,** გადიდდა **მანქანათმშენებლობის** მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეები.

ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში ამოქმედდა ცელულოზისა და მუყაოს წარმოების ახალი სიმძლავრეები არხანგელსკის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატსა და ქაღალდისა — სეგეჟის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში.

საშენ მასალათა მრეწველობაში ამოქმედდა ახალი ტექნოლოგიური ხაზი. სვერდლოვის ოლქის სუხოლოჟსკის ცემენტის ქარხანაში და თბილისის ცემენტის ხაზი ბელგოროდის ცემენტის ქარხანაში, ფურცლოვანი მინის ქარხანა ყირგიზეთში, ოსიპოვიჩის მუყაოსრულებელთიდან ქარხანა ბელორუსიაში.

გადიდდა **საფეიქრო და ტრიკოტაჟის საწარმოების, ფეხსაცმლის ფაბრიკების,** ლეგიანი და უალკოჰოლო სასმელების საწარმოების, ღვინის ქარხნებისა და **კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სხვა საწარმოთა** სიმძლავრეები.

სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების სახსრებით საექსპლოატაციოდ გადაეცა მეცხოველეობის სადგომები 475 ათასი ასხეულფეხა ოქროსი პირუტყვის, 650 ათასი ღორის, 800 ათასი სული ცხვრისა და 5 მილიონზე მეტი ფრინველის შესანახად. სახელმწიფო სახსრებით აშენდა მეფრინველეობის ფაბრიკები 550 ათასი მოკვეცულისათვის, საექსპლოატაციოდ გადაეცა 700 ათას ტონაზე მეტი მარცვლეულის ტევადობის ახალი ელევატორები, სარეპოსტო საწყობები „საკოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციებში 13 ათასი პირობითი მეკვლებისათვის წელიწადში და მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა და კირქვის მასალების საცავები ერთეულოვან 64 ათასი ტონის შესანახად.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 140 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები, განხორციელდა გადამეტებინებული და დაჭაობებული მიწების ამოშრობის სამუშაოები დაახლოებით 200 ათას ჰექტარზე, 2,8 მილიონი ჰექტარი ფართობი საძოვრების გაწყლოვანებისათვის, 78 ათას ჰექტარ ფართობზე არსებული სარწყავი მიწების შელოთოციული მდგომარეობის გუმჯობესებისა და 57 ათას ჰექტარ ფართობზე სარწყავი სისტემების გაახლებისათვის.

ამოქმედდა ახალი ობიექტები და საწარმოო სიმძლავრეები სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

მაგრამ მთელ რიგ დარგებში არ შესრულებულა ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების დაგალებანი და არ აუთვისებიათ გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი.

სახელმწიფო კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობაში შეადგინა 33,9 მილიარდი მანეთი, რაც 6 პროცენტით მეტია, ვიდრე ათვისებულია იყო გასული წლის პირველ ნახევარში. **საჭირო სამუშაოთა** ნახევარი წლის გეგმა მთლიანად სახალხო მეურნეობაში შესრულებულია 100,6 პროცენტით; სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა 9 პროცენტით. ამასთან მთელმა რიგმა სამშენებლო სამინისტროებმა ვერ შეასრულეს გეგმა როგორც საჭირო სამუშაოთა სრული მოცულობის დარგში, ისე ობიექტებზე, რომლებიც განთავალსწინებული იყო ცენტრალური კაპიტალური დაბანდების გეგმით.

საჭირო სამუშაოთა სრული მოცულობის ზრდის ტემპი ცალკულ სამინისტროთა მიხედვით მოყვანილია ქვემოთ:

	1972 წლის 1 ნახევარი პროცენტებით 1971 წლის პირველ ნახევართან შედარებით
სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო	107
სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტრო	105
სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრო	107
სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	109
სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო	109
სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრო	107
სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალმეურნეობის სამინისტრო	113
გაზის მრეწველობის სამინისტრო	122
სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრო	110

საყოფაცხოვრებო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა გადიდდა 12 პროცენტით.

გრძელდებოდა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა გადაუვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობს 550 სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი, სახლთსაშენებელ კომბინატი და სხვა ორგანიზაციები. ორმოცდაეკი ასრულებენ მთლიანად. სახალხო მეურნეობაში საჭიროო სამუშაოთა საერთო მოცულობის 25 პროცენტს.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 5 პროცენტით. შემცირებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულება. მოგება გაიზარდა 8 პროცენტით.

სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ შეასრულა საჭიროო სამუშაოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების გადიდების, თვითღირებულების შემცირების გეგმა.

V. ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება

მუშათა და **მოსამსახურეთა** **რიცხვმა** სახალხო მეურნეობაში საშუ-ლოდ ნახევარ წელიწადში შეადგინა 93,7 მილიონი კაცი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 2,4 მილიონი კაცით, ანუ 2,6 პროცენტით.

მუშათა და **მოსამსახურეთა** **საშუალო-თვიურმა ფულადმა ხელფასმა** შეადგინა 128,5 მანეთი და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 3,5 პროცენტით. ხელფასმა მოიმატა საზოგადოებრივი ფოსტებიდან გაწეული დახმარებისა და შეღავათების დამატებით შეადგინა 174 მანეთი — ნაცვლად 1971 წლის პირველი ნახევრის 168 მანეთისა. **კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება** გადიდდა 5 პროცენტით.

მოსახლეობის **მიერ** **მოხმარების** **საზოგადოებრივი** **ფონდებიდან** **მიღებულმა** **დახმარებამ** და **შეღავათებმა** შეადგინა 36 მილიარდი მანეთი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 6,8 პროცენტით. ამ სახსრების ხარჯზე მოსახლეობისათვის **უზრუნველყოფილი** იყო უფასო სწავლება და სამედიცინო დახმარება, პენსიების, დახმარებისა და სოციალური უზრუნველყოფის **სხვა** ხარჯების გადახდა, სტიპენდიების მიცემა, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო და შეღავათიანი **საგზურების** მიცემა, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების შენახვა, შვებულებების ანაზღაურება და სხვა სახეობათა სოციალურ-კულტურული მომსახურების ღონისძიებანი.

მოსახლეობის **ანაბრები** **შემნახველ** **სალაროებში** წლის პირველ ნახევარში 3,6 მილიარდი მანეთით გაიზარდა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შეადგინა 83,8 მილიარდი მანეთი და გადიდდა, შესადარ ფასებში, 7,1 პროცენტით. საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა 99,8 პროცენტით შესრულდა,

ცალკეული **საქონლის** **გაყიდვა** სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

	გაიყიდა წლის პირველ ნახევარში პროცენტებით 1971 წლის პირველ ნახევართან შედარებით
ბეღლის პროდუქტები	102
ხორცი და ხორცის პროდუქტები	110
თევზი და თევზის პროდუქტები	101
ერბო-კარაქი	104
ძეცხარეული ზეთი	101
მოუხდელი რძის პროდუქცია	101
ყველი	104
კვერცხი	113
შაქარი	105
საკონდიტრო საქონელი	107
ჩაი	106
კარტოფილი	99
ბოსტნეული	98
ხილი და ციტრუსები	95
ტანსაცმელი, თეთრეული და ნესოგაღები	105
ტრიკოტაჟის ნაწარმი	106
წინდები	104
ტყავის ფეხსაცმელი	103
ფაიფურ-ქაშანურისა და მინის ჭურჭელი	120
სინთეზური სარეცხი საშუალებანი	111
ავეჯი	107
საყოფაცხოვრებო მანქანები	101
მაცივრები	107
სარეცხი მანქანები	80
ელექტრომტვერსასრუტები	110
საათები	101
ფოტოაპარატები	103
მოტოციკლები და მოტოროლერები	99
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები	101
რადიომიმღებები და რადიოლები	98
ტელევიზორები	115
მსუბუქი ავტომობილები	162

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზიდა საქონელბრუნვა, მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ზოგიერთ საქონელზე ჯერ კიდევ მ

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲠᲘᲡᲘ

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ „სოოლნიკის“ კულტურისა და დასვენების პარკი — დიდი წარმატებით მიმდინარეობს საერთაშორისო გამოფენა „ელექტრო-72“. მიძღვნილი ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემისა და გამოყენების პრობლემებისადმი. მის ექსპოზიციას უკვე გაეცნო 300 ათასამდე კაცი. 24 ივლისს გამოფენაზე იყვნენ ამხანაგები ა. ა. კირილენკო, ა. ტ. მაზაროვი, ა. ი. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, ვ. ვ. შელესტი, ვ. ნ. დენისოვი, მათთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. ს. შარლოვი და სსრ კავშირის საგარეო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. პიტოვრანოვი.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა განსაკუთრებით ყურადღებით დაათვალიერეს საბჭოთა კავშირის ექსპოზიცია — შთამბეჭდავი ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ გადაიქცა მოკლე ისტორიულ ვადაში სამამულო ელექტროტექნიკური მრეწველობა სარაფლო მეურნეობის მაღალგანვითარებულ დარგად. ისინი დიდი ინტერესით გაეცნენ აგრეთვე ბუნებრივის, უნგრთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინდოეთის, ფინეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების ექსპოზიციებს.

(საკდესი).

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲣᲚᲘ - ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲑᲐᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს პროფკავშირულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმომადგენლები, სამინისტროებისა და უწყებების, მსხვილი სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების პროფკავშირთა რესპუბლიკური და საოლქო საბჭოების, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური და საფარეიკო-საქარხნო კომიტეტების ხელმძღვანელები, ნოვატორი მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, პროფკავშირული აქტივი.

კრება გახსნა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ თ. მოსაშვილმა.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარბედიამ წაიკითხა მოხსენება „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის მდგომარეობისადმი პროფკავშირულ ორგანიზაციათა კონტროლის გაძლიერების შესახებ“.

რესპუბლიკის პროფკავშირულ მასორგანიზაციებმა, თქვა მომხსენებელმა, ასრულეს რა სკკპ XXIV ყრილობისა და სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების შემდგომი შემსუბუქებისა და გაჯანსაღებისათვის. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე რესპუბლიკის საწარმოებში განხორციელდა 1.500-მდე საამქროსა და უბნის კომპლექსური მექანიზაცია, 1.000-ზე მეტ საწარმოში მექანიზებული და ავტომატიზებულია ნაკადური ხაზები. მოწყობილი და რეკონსტრუირებულია ბევრი საგენტლიკეთო სისტემა და დანადგარი. ამენდა და რეკონსტრუირებულია 110 ათასი კვადრატული მეტრი სანიტარულ-საყოფაცხოვრებო შენობა.

ყოველწლიურად მატულობს სახსრები შრომის დაცვის ღონისძიებათა განსახორციელებლად. უკანასკნელ ექვსი წლის მანძილზე ამ მიზნით დახარჯა 80 მილიონ მანეთზე მეტი, 1971 წელს კი 12 მილიონი მანეთი — ორჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1961 წელს.

წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო დათვალიერებანი, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობა, მნიშვნელოვანი საშუალებაა შრომელთა დასარაზმად იმისათვის, რომ გამოძებნონ და ყოველნაირად გამოიყენონ შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად მიიღეს მთელი რიგი დადგენილებანი მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების შემდგომი გაჯანსაღებისათვის, მათი სამართლებრივი გარანტიებისა და შეღავათების დაცვისათვის.

საქართველოს პროფსაბჭომ, საოლქო პროფსაბჭოებმა, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე შეისწავლეს შრომის დაცვის მდგომარეობა რესპუბლიკის 8 ათასზე მეტ საწარმოში. ყოველივე ამან დადებითი - გავლენა მოახდინა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების გადიდებაზე, ხელი შეუწყო საწარმოო ტრავმატიზმის შემცირებას.

ამასთანავე მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ შრომის დაცვის მდგომარეობა მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მთელ რიგ საწარმოებში არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ხელი ტემპით მცირდება პროფესიული დაავადებანი. რიგ საწარმოებში არდევენ უსაფრთხოების ტექნიკის წესებსა და ნორმებს, მოლიანად არ ასრულებენ საკენტლაციო მეურნეობის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

დამაკმაყოფილებლად არ არის საქმე შრომის უსაფრთხო მეთოდების დაუფლებაში, სუსტად წარმოება უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟი. ცალკეული სამინისტროები, უწყებები და საწარმოები მთლიანად ვერ ითვისებენ შრომის დაცვის ღონისძიებებისათვის გამოყოფილ სახსრებს. არის შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. პატარაძემ.

განხილულ საკითხზე მიღებულია რეზოლუცია. (საქინფორმი).

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ

70 ᲐᲗᲐᲡᲖᲔ მეტმა კაცმა დაათვალიერა „ჩეხოსლოვაკიური მინის“ გამოფენა, რომელიც თბილისში იყო გახსნილი.

„მინაკესპორტის“ საგარეო-საკავშირო გაერთიანების სალიკვიდაციო სამსახურის ხელმძღვანელმა იაროსლავ კოკოშმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მისი ქვეყნის მინის მრეწველობის მიღწევებმა თბილისელების, კერძოდ, სპეციალისტების უკიდურესი ინტერესი გამოიწვია.

„ჩვენი აზრით, — განაცხადა იაროსლავ კოკოშმა, — წარმატებით შესრულდა გამოფენის წინაშე დასახული ამოცანები“.

საქართველოს სსრ საკავშირო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. ელიგულაშვილმა თქვა, — რომ გამოფენის მუშაობის პერიოდში ქართველ და ჩეხოსლოვაკიელ სპეციალისტებს შორის დამყარებული კონტაქტები დიდ გავლენას მოახდენენ საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებაზე. (საქინფორმი).

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲤᲠᲐᲜᲒ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ

24 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთ — სსრ კავშირის საზოგადოების დელეგაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება საბჭოთა-საფრანგეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოს საზოგადოებების კავშირის მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს საზოგადოების პრეზიდენტ-აღმასრულებელი ანდრე ბლუმელი. სტუმრთა შორის არიან საფრანგეთ-სსრ კავშირის საზოგადოების სადეპარტამენტო განყოფილებებისა და კომიტეტების ხელმძღვანელები. ისინი ეცნობიან ეროვნული პოლიტიკის მიღწევებს საბჭოთა კავშირში, რომელიც წლიდან აღნიშნავს თავის ნახევარი საუკუნის იუბილეს.

საქართველოში მოგზაურობა დელეგაციის წევრებმა აეროპორტიდან დაიწყეს. აქ ისინი ეწვივნენ მთელ რიგ კულტურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, შეხვდნენ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დ. დიასამიძეს. 24 იულის ფრანგი მეგობრები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ. მოხარული ვართ, თქვა მან, რომ ქართულ მიწა-წყალზე ემასპინძლებთ ფრანგი ერის, დიდი და ენერგიული ერის, უდიდეს კულტურული ტრადიციებით განძეულ ერის წარმომადგენლებს.

ვ. სირაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა და ფრანგი ხალხების მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის ურთიერთობა უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით განმტკიცდა და რწმენა გამოთქვა, რომ დელეგაციის მოსვლა ხელს შეუწყობს ამ ორ ქვეყნის მეგობრული კავშირურ-ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

ანდრე ბლუმელმა აღნიშნა საფრანგეთ — სსრ კავშირის საზოგადოების — ქვეყნის ამ ერთერთი უყველაზე მასობრივი და პოპულარული საზოგადოებრივი ორგანიზაციის — წვლილი საბჭოთა ხალხთან მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავებაში. საზოგადოების მუშაობა, თქვა მან, ყოველწლიურად სულ უფრო მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ხდება.

საუბარს, რომელშაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ესწრებოდნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე, საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ა. ფენტი, მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის დასავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ვ. კობლიკოვი.

(საქინფორმი).

ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲣᲚᲘ ᲞᲘᲒᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ

ᲛᲘᲪᲘᲣᲜᲘᲡ ოჯახის მეოთხე თაობა, რომელიც იაპონიის გუმას პრეფექტურაში ცხოვრობს, მოელ დღეებს გადაბმულად ატარებს მიწის ქვეშ, მხოლოდ ღამით თუ ამოვლენ ზემოთ. ოთხმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გვარის დამფუძნებელმა ტომოიოსმამ პირველად მოკიდა ხელი ნიჩაბს, და ამ ხნის განმავლობაში ოჯახის მამაკაცებმა გათხარეს დაახლოებით ას ორმოცდაათი შახტი და გვირაბი, რომელთაგან რამდენიმეს სიგრძე ათ კილომეტრს უდრიდა.

რამ აიძულა მოელი ოჯახი წლების განმავლობაში ეთხარა მიწა ავაკის მთის კალთებზე? ამის მიზეზი იყო ძველად ერთ-ერთი ფეოდალის მიერ შედგენილი რუკა, რომელიც მიანიშნებდა ჩაფლულ განძს, რაც თავის მემკვიდრეებს უანდერძა გვარის უფროსმა ტომოიოსმამ. თუ რუკას მანაწერებს დავუჯერებთ, განძის ღირებულება ჩვენი დროისათვის აღწევს ასტრონომიულ ციფრს — 35 ტრილიონ იენს. მიძღუნის ოჯახის წევრებს სჯერათ, რომ აუცილებლად იპოვნიან განძს, ოუმცა მათ მხოლოდ ბუნდოვნად დაბაზული რუკა გააჩნიათ და რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მხოლოდ ორკილოგრამიანი ოქროს ჭანდაკება იპოვნეს.

ᲢᲐᲜᲙᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ ᲓᲐᲔᲯᲐᲮᲐ

ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲡ ავტომანქანას დაეჯახა ამერიკული ტანკი, რომელიც კოლონის შემადგენლობაში მაინის ფრანკფურტ-ნიურნბერგის ავტოსტრადაზე მოდიოდა.

ტანკის მუხლუხების ქვეშ დაიღუპა ოთხი კაცი.

„ნიუდოიჩე ცაიტუნგი“ ამასთან დაკავშირებით წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ზაფხულის შვებულებების პერიოდში აწყობენ მანევრებსა და წვრთნას, გზები სავსეა ამერიკული სამხედრო ტექნიკით, რაც იწვევს ავტოკატასტროფებსა და მსხვერპლს.

ᲜᲔᲐ�პᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲐᲜᲨᲘ...

ᲜᲔᲐᲠᲝᲚᲘᲡ გარეუბანში რკინიგზაზე მოხდა კატასტროფა, რომლის დროს დაიღუპა 6 და დაშავდა 150-ზე მეტი კაცი.

კატასტროფა მოხდა იმიტომ, რომ ერთმანეთს დაეჯახა ორი შემხვედრი მატარებელი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ... ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲨᲐᲘᲜᲘᲡ ფრანკფურტს დასავლეთ გერმანიის ქალაქებს შორის, რომელთა მოსახლეობის რიცხვი 300 ათას კაცს აღემატება, პირველი ადგილი უკავია ხისხლის ხამრთლის დამნაშავეობის მაჩვენებლით.

1971 წელს ყოველ 100 ათას მცხოვრებზე ამ ქალაქში ჩადენილი იყო 9 ათასზე მეტი დანაშაული. ეს მონაცემები გამოაქვეყნა ბრემენის სისხლის სამართლის დანაშაულობათა კვლევის უწყებამ.

ამავე დროს მაინის ფრანკფურტს უკანასკნელი ადგილი უკავია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებს შორის გახსნილი კრიმინალური აქტების რიცხვის მხრივ: 1971 წელს იქ გახსნილ სისხლის სამართლის დანაშაულთა მხოლოდ 34,4 პროცენტი. (საკდესი).

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲘ“

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ პოლიციამ კონფისკაცია უყო 1,1 მილიონი დოლარის ღირებულების უკვე გარკვეულზე მეტ ხალას კრისტალურ ყავისფერ ბეროინუმს. როგორც პოლიციამ განაცხადა, შეერთებულ შტატებში ძლიერმოქმედი ეს ფიფაანი ხარისხის ბეროინუმი „შემოტანილია კონტინენტური ჩინეთიდან“.

პოლიციის აგენტებმა მიაკვლიეს და დაპატიმრეს სამი პირი — ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქენი. მათ ნიუ-იორკში ბეროინუმი ჩამომჭიდეთ ხომალდებით, რომლებიც აქ აზიის ქვეყნებიდან მოდიოდნენ.

როგორც პოლიცია მოწმობს, კონფისკებული ბეროინუმი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ძლიერმოქმედი ნარკოტიკის საერთო რაოდენობისა, რომელიც ჩინეთიდან შეერთებულ შტატებში ჩამოიტანეს.

ᲢᲠᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ ᲓᲣᲜᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ოლქის მმართველობის მუზეუმს შეემატა ახალი ექსპონატი: რამდენიმე ფუთი ნონის ტანის ლუნა. იგი აღმოაჩინეს 3 მეტრის სიღრმეზე თბილისის გათხრის დროს ნაბეჭოთა მეურნეობა „ავარიაბიანსკში“.

ეანგს მთლიანად მოუსია ყველა კვალი, რომელსაც შეეძლო მოეთხრო ამ ნაპოვნის წარმოშობის შესახებ. საქმე ის არის, რომ მეურნეობა მდებარეობს ტრამალზე და ზღვა ამ ადგილებში შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ წინასტორიულ ხანაში. ამჟამად მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები მუშაობენ ამ ნაპოვნის საიდუმლოების ამოსაცნობად.

ᲩᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲩᲘᲚᲔᲗᲘᲡ სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობა მომდევნო წლის 30 ივნისისათვის შეადგენდა 10 მილიონ 44 ათას 940 მცხოვრებს.

რესპუბლიკის დედაქალაქ სანტიაგოში ცხოვრობს 3,7 მილიონი კაცი. (საკდესი).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲘᲠᲐᲛᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲝᲛᲘᲡ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲣᲚᲘ ᲔᲡᲙᲐᲚᲐᲪᲘᲐ □ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲡᲐᲮᲝᲡ

ᲓᲐᲥᲐᲒᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲔᲠᲐ □ ᲝᲚᲡᲢᲔᲠᲘ: ᲣᲮᲔᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ მხედრობა მკვეთრად გააკიცხა ბარბაროსული ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ვიეტნამში შეერთებული შტატების დანაშაულის გამომძიებელი კომისიის მობაქციებით, თუ აპრილში ამერიკის ავიაციამ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განსორციელა 1.200 თვითმფრინავ-გაფრენა, ივლისის მხოლოდ პირველ ნახევარში იყო 1370 თვითმფრინავ-გაფრენა. ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები ამ ქვეყნის ისედაც მრავალტანჯულ მიწა-წყალზე ყოველდღიურად ყრიან 5-7 ათას ტონა ბომბს. ამ მომავალდინებელი ტკბილის მნიშვნელოვან ნაწილს უშენენ იმ რაიონებს, რომლებიც ვიეტნამელმა პატრიოტებმა გამათავისუფლეს.

პენტაგონი, რომელიც ისწრაფვის გადაარჩინოს საგონელ მარიონეტია ძირგამომპაული რეჟიმი და ჩაახშოს ვიეტნამელი ხალხის გმირული წინააღმდეგობა, არ ერიდება ომის წარმოების ყველაზე მბეცავ მეთოდებს, საფანტიანი და ფუტკასური ბომბიანი კობტეინერების გამოყენება იქნება ეს, თუ ეგრეთწოდებული „მეტეოროლოგიური“ ან „ეკოფიზიკური“ ომი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ომი ყოველი ცოცხალის წინააღმდეგ.

უდიდეს საფრთხეს ქმნის ამერიკის თვითმფრინავების მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯვირნრებისა და კაშხალის სისტემის სისტემატური დაბომბვა. ამ ნაგებობათა დანგრევა უდიდეს საფრთხეს შეუქმნის იმ დიდი რაიონის მოსახლეობას, სადაც 15 მილიონი კაცი ცხოვრობს.

ამ ფონზე საოცრად პირფერულია პრესის საკითხებში თეორი სახლის წარმომადგენლის ზიგლერის სიტყვები, რომელიც ამას წინათ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ პრეზიდენტმა ნიქსონმა რამდენიმე თვის წინათ დასახა კონკრეტული ღონისძიებები, რათა ამერიკის თვითმფრინავებს აღარ დაებომბათ ჯვირნრები და კაშხალები. შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელთა ასეთ განცხადებებს თვით ამერიკელებში უარყოფენ. მაგალითად, გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ მიმომხილველი კრაფტი კპნიიდან იტყობინება: „ეჭვიც არ არის, რომ ამერიკული ბომბები აზიანებენ კაშხალებს. საკუთარი თვალით ვნახე როგორ მოხვდა ორი ბომბი კაშხალს“.

ამერიკის მხედრიონის დანაშაული დიდ აღშფოთებას იწვევს მთელ მსოფლიოში. ვიეტნამთან სოლიდარობის საერთაშორისო დღეს, რომელიც ამას წინათ გაიმართა, მკაფიოდ ცხადდა, თუ რა დიდია ამ ქვეყნის პატრიოტთა გმირული ბრძოლა მხარდაჭერის ძალა.

ᲯᲔᲚᲐᲕᲐᲨᲘ საერთაშორისო დაპატიჟების ერთ-ერთი ყველაზე საშიში კერაა ახლო აღმოსავლეთი და ამისათვის პასუხისმგებლობა გკისრებათ ისრაელ აგრესორებს და მათს ომპერიალისტურ მფარველებს.

უკვე მეექვსე წელია, რაც 1967 წლის ივნისში ისრაელი თავს დაესხა ეგვიპტეს, სირიასა და იორდანიას. სინას ნახევარკუნძული, ღაზის რაიონი, იორდანიის დასავლეთი სანაპირო და სხვა ძველი არაბული ტერიტორიები კი, რომლებიც ისრაელმა დაიპყრო, ჯერაც ოკუპანტთა ხელშია. ტელ-ავივი თავიდანვე უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციას და შეიერთებული შტატების მხარდაჭერით უარს ამბობს გამოიყვანოს ჯარები არაბული მიწებიდან, ცდილობს დამკვიდრდეს. და ამისათვის ქმნის გასამხედროებულ დასახლებათა ქსელს, ახორციელებს აშკარა სამხედრო პროვოკაციებს პოლიტიკას ლიბანისა და მეზობელი არაბული სახელმწიფოების საზღვრებზე.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ერთერთმა მთავარმა თანაშემწემ უპირველესი მინისტრმა გალილიმ თავადვე განაცხადა, არ არის „რაიმე საფუძველი“, რომ ისრაელმა შეცვალოს პოლიტიკა არაბული ტერიტორიების მიმართ. „ჩვენ მოგვიხდება ცეცხლის შეწყვეტის ხაზის დაცვა ყველა სექტორში და ამალდასახლებათა შექმნა, წყლისა და მიწის რესურსების გამოყენება იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ვფარავთ“, — განაცხადა მან. პრემიერმა გ. მეირმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ამერიკის სიონისტური ორგანიზაციის ყრილობის გახსნისას, განაცხადა, რომ ისრაელი ყოველი ღონისძიებით კაზრდის შეიარაღებას. თავდაცვის მინისტრმა მოშე დაიანმა კი სამხედრო-საჰაერო ძალების სკოლის კურსდამთავრებულთა მთავრობის მიერ „ირაკ პეტროლეუმ კომპანის“ ნაციონალიზაციას, რომელიც, როგორც ცნობილია, დასავლეთის ნავთობის მონოპოლიებს ეკუთვნოდა. თავის მხრივ, ერაყი ისწრაფვის გაავფართოოს თანამშრომლობა სსრ კავშირთან სხვადასხვა დარგში. სსრ კავშირისა და ერაყის მეგობრობა, ხაზგასმით აღნიშნა ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აჰმედ ჰასან ბაკრმა, არის და კვლავაც იქნება „ჩვენი ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, და ჩვენ მომავალშიც ვიცდებით ამ მეგობრობის განმტკიცებას“.

ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐ დაკავშირებით, რომ ოლსტერში მკვეთრად გამწვავდა ვითარება, ბრიტანელთის პრესა ამ დღეებში წერს, რომ რეალური გახდა საშოქალაქო ომის საფრთხე. მდგომარეობა გამწვავდა მას შემდეგ, რაც პროტესტანტ ეკსტრემისტთა ალეგირსხენილი ურდოები ინგლისის ჯარების წაქეზებით პროვოკაციულად ეხხმიან თავს კათოლიკური მოსახლეობის უფლებებს ფეხებს.

სამოქალაქო კონფლიქტის უფსკრულის წინაშე დაყენა ჩრდილოეთ ირლანდია ავანსცენაზე „ოლსტერის თავდაცვის ასოციაციის“ სახელწოდებით ცნობილ პროტესტანტ ეკსტრემისტთა შეიარაღებული რაზმების აშკარა გამოსვლამ. ფაქტიურად ეს არის რეგულარული არმია, რომელსაც არც იარაღი აკლია და არც აღჭურვილობა. ამ არმიაში დაახლოებით 70 ათასი კაცია და მას მხარს უჭერენ ინგლისის ჯარები, რომლებსაც ოკუპირებული აქვთ ჩრდილოეთ ირლანდია.

კათოლიკური მოსახლეობის წინააღმდეგ „ოლსტერის თავდაცვის ასოციაციის“ წევრ მოფაშისტ პაკბატონთა შეიარაღებული პროვოკაციების გამო სისტემიმდგრეული შეტაკებანი ხდება ოლსტერის დედაქალაქ ბელფასტში. დანგრეულია ოლსტერის სიდიდით მეორე ქალაქის — დერის ოთოქმის მთელი ცენტრი. ივლისში მარტო შვიდი დღის მანძილზე ტკბილამ იმსხვერპლა 33 კაცი.

ოლსტერში მოიმდარი უკანასკნელი ამბები ცხადყოფენ, რომ ინგლისის მთავრობა აღარ ელაციცება კათოლიკურ უმცირესობას, როგორც ეს ხდებოდა იუნინინისტური პარლამენტის დათხოვნისა და ოლსტერში ლონდონის „უშუალო მართვის“ შემოღების შემდეგ, და ახლა მხოლოდ უნდა ძალის იმედი აქვს, რასაც მოწმობს 17 ათასიანი არმიის გაგზავნა ჩრდილოეთ ირლანდიაში. ინგლისის მთავრობა იწყრაფვის ყოველი ღონისძიებით შეუშალოს ხელი ირიელ ცვლილებებს ამ „ავტონომიური პროვინციის“ ნახევრად კოლონიურ ცხოვრებაში წესში, სადაც კათოლიკები, რომლებიც მოსახლეობის მესამედს შეადგენენ, მეორეხარისხოვან მოქალაქეთა მდგომარეობაში იმყოფებიან.

ამასვე მოწმობს ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრის უაიტლოუს ამასწინანდელი გამოსვლა თემთა პალატაში. მან პირდაპირ განაცხადა, ინგლისის მთავრობა „გადაჭრით და უდიდესი სიმტკიცით“ იმოქმედებს, რათა ოლსტერში „წესრიგი“ დამყაროსო. კათოლიკური მოსახლეობის უღარიბესმა ფენებმა უკვე კარგად იგრძნეს, თუ რას ნიშნავს დაშსჯილთა „სიმტკიცე“. ოლსტერის 7 ათასამდე მცხოვრებმა, რომლებიც გაეკცნენ ინგლისის ჯარების სისხლიან ტერორს, თავი შეაფარეს მეზობელ ირლანდიის რესპუბლიკას. ლტოლვილთა ნაკადი დღითი დღე იზრდება.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲒᲔᲘᲠᲣᲗᲘ

ᲡᲐᲣᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ, ᲑᲐᲠᲔᲣᲑᲜᲘᲡ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ დედაქალაქისა და მისი გარეუბნების ათასობით მცხოვრები გაპოლიციურა დემოკრატიული ორგანიზაციების მოწოდებას, რომელნიც იბრძვიან ინდოჩინეთში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ. ხალხმრავალი დემონსტრაციის მონაწილენი მოითხოვდნენ ომის ესკალაციის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის შეწყვეტას, ინდოჩინეთიდან ამერიკის ჯარების გაყვანას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: დემონსტრანტთა კოლონები პარიზის ქუჩებში. პირველ რიგში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები მოდიან.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲕᲐ᭪ᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

24 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ამერიკის პრესა მხარს უჭერს ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარებას.

„საბჭოთა კავშირ-ამერიკის საგაჭრო ურთიერთობის განვითარება, წერს გაზეთი „დეილი უორლდი“, „ხელსაყრელია მშვიდობის საქმისათვის, ხალხის მსეკისათვის“. გაზეთი, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ამერიკელი ხალხისათვის ეს ამის ღიდმნიშვნელოვანი შედეგი იქნება“ მუშების მეტი დასაქმების უზრუნველყოფა“.

„დეილი უორლდი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი განუწყვეტელი მხარს უჭერს ამერიკასთან საგაჭრო ურთიერთობის ნორმალიზაციასა და განვითარებას და დასძენს, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის ყოველმხრივი განვითარებისათვის არის ისეთი ხელშემწყობი პირობები, როგორც არასდროს ყოფილა წინათ. გაზეთი მკითხველებს შეახსენებს, რომ მოსკოვში დაიდო გარიგება ამერიკულ კომპანია „ოქსიდენტელ პეტროლეუმ კორპორეიშნთან“ და მოეწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ეკონომიურ საკითხებზე.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას მიეძღვნა გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“. გაზეთი გამოთქვამს აზრს, რომ „ფართო შესაძლებლობებია ორ ქვეყანას შორის ეკონომიური თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმისათვის“. გაზეთის აზრით, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის გაფართოება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განვითარებას.

„ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა მოსკოვისა და გაშინგტონის ვაჭრობისათვის და ეს კარგია“, — წერს „კრისჩენ საიენს მონიტორი“.

ᲕᲐᲨᲘᲜᲓᲢᲝᲜᲘ

Ჯ. ᲛᲐᲙᲙᲝᲕᲔᲠᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

24 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა პრეზიდენტის პოსტზე ხენატორმა ჯ. მაკკოვერნმა განაცხადა, თუ პრეზიდენტად ამირჩევენ, დაუყოვნებლივ შეუწყვეტენ მთელ სამხედრო დახმარებას ათენის სამხედრო რეჟიმს.

ჯ. მაკკოვერნმა საბერძნეთში არსებული მთავრობა დაახასიათა, როგორც „სამხედრო დიქტატურა“. შეუწყვეტს ირა მარტო სამხედრო დახმარებას, არამედ აგრეთვე „აბსოლუტურ მინიმუმამდე“ შეამცირებს ამერიკის სამხედრო პერსონალს საბერძნეთშია, თქვა მან.

ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ საგანგებო და სრულფუფლებიანმა ელჩმა ინდონეზიაში პ. კუნნეცოვმა რწმუნებულობის სიგელ

კალათბურთი

დღეს თბილისში იხსნება ი. გაგარინის მემორიალი

დღეს სპორტის სასახლეში იწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში, რომელიც პირველი კოსმონავტის ი. გაგარინის სახელს ატარებს. გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ო. ნოზაძე შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კალათბურთის განყოფილების უფროსს ნიკოლოზ ბეშკარევს, რომელის ნაამბობს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს:

შესანიშნავი იური გაგარინი — იგი პირველი შეიჭრა მიუვალ კოსმოსში. ეს იყო 1961 წლის 12 აპრილს. ახლა კოსმონავტიკის დღე რომ ეწოდება. ორიოდე დღის შემდეგ კი „ოზვესტიაში“ სიცოცხლით სავსე, კუნთოვანი ჭაბური სპორტსმენის ფოტოსურათი ვიხილეთ — იური ბურთით ხელში სათავეში ედგა სარაჯევის საპაერო სასწავლებლის კურსანტთა გუნდს.

ი. გაგარინი ბრწყინვალე სპორტსმენი და მოქალაქე იყო და. ცხადია, ჩვენს ტურნირს, რომელსაც უკვე მესამეულ ვეტერენებ, ამიტომ ეწოდა მისი სახელი.

პირველად ამგვარი შეჯიბრება 1970 წელს ჩავატარეთ მოსკოვში, შემდეგ კი მომდევნო წელს — ლენინგრადში. ორივე შემთხვევაში გამარჯვება საბჭოთა კავშირის ნაკრებს ხვდა.

თბილისში ტურნირის გამართვა, ცხადია, შემთხვევითი როდია. ქართველ კალათბურთელებს კარგი სპორტული ტრადიციები აქვთ, გუშინდელივრნები კარგად ერკვევიან თამაშში, ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, ტურნირის ორგანიზატორებმა შეჯიბრების საკალენო სტუმრობა სთხოვეს საბჭოთა კავშირის გმირის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ფრონავი-კოსმონავტის იური გაგარინის მეუღლეს — ვალენტინა ივანეს ასულ გაგარინას. გუშინ საქართველოს სპორტკომიტეტში შემდეგი სახის წერილი მოვიდა:

ძვირფასო მეგობარეო!

დიდ მადლობას გიძღვნით მოწვევისათვის თბილისის საერთაშორისო ტურნირზე კალათბურთში, რომელიც ჩემი მეუღლის ხსოვნისადმია მიძღვნილი.

სამწუხაროდ, შექმნილი გარემოება საშუალებას არ მაძლევს ჩამოვიდე თქვენს შესანიშნავ ქალაქში.

ორგანიზატორებს ვუსურვებ ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებას, მაყურებლებს — საინტერესო სანახაობას, ხოლო ჩვენს კალათბურთელებს — ლამაზ გამარჯვებებს!

პატივისცემით თქვენი ვალენტინა გაგარინა.

ტურნირის ორგანიზატორებმა შეჯიბრების საპატიო სტუმრობა სთხოვეს საბჭოთა კავშირის გმირის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ფრონავი-კოსმონავტის იური გაგარინის ორი თბილისელი სპორტსმენი შედის — სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. საკანდელიძე და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ი. ბოლოტინი.

ი. გაგარინის სახელობის პრიზის მოსაპოვებლად, ისევე როგორც შარშან, ახლაც 6 გუნდი შეეკიბრება ერთმანეთს — სამი უცხოეთისა (ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, აშშ) და სამიც ჩვენი — სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები და საქართველოს ნაკრები. ჩვენს ოლიმპიელებს დამსახურებული მწვრთნელები ი. ალექსანდრია და ხ. ბაშკინი ავარჯიშებენ. ხოლო ახალგაზრდულ კოლექტივს სათავეში უდგას სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ოზერეროვი.

ქართველმა სპორტის მოყვარულებმა, ცხადია, უკვე იციან, რომ რუსპუბლიკის ნაკრები „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ გუნდების ბაზაზეა დაკომპლექტებული და მას წარსულში შესანიშნავი კალათბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ო. ქორქია ამზადებდა.

ტურნირისადმი, რომლის მთავარი არბიტრია საკავშირო კატეგორიის მსაჯი რ. ხომერიკი, ინტერესს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ ეს კალათბურთელებისათვის, ასე ვთქვათ, გენერალური რეპეტიცია იქნება XX ოლიმპიადის წინ. თუმცა, ტურნირზე ამერიკელებმა არ გამოგზავნეს ოლიმპიური ნაკრები, მაგრამ მეთვალყურედ მოაგზავნეს გუნდის მეორე მწვრთნელი მაკ ლენდენი.

უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისის სპორტის სასახლის თაღებქვეშ ძირითადად საბოლოოდ გამოარკვევა საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების კონტურები. საქართველოს დედაქალაქში ხომ ჩვენი ქვეყნის კალათბურთის მთელმა ვარსკვლავებმა მოიყარა თავი (გარდა ტრაგმირებული ვ. ანდრეევისა) — სპორტის დამსახურებული ოსტატებმა სერგეი და ალექსანდრე ბელოვეზებმა, მოდესტას პაულაუსკასმა და გენადი ვოლნოვმა, ანატოლი პოლივოდამ და ალან ჯარმუხამედოვმა. ზურაბ საკანდელიძემ და მიხეილ ქორქიამ.

მერწმუნეთ, ასეთი კალათბურთის ნახვა ყოველთვის დიდი ზეიმია. გელოდ სპორტის სასახლის თაღებქვეშ!

• • •

დღეს...

დღეს, 25 ივლისს, **19 საათსა და 30 წუთზე** გაიმართება კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირის საზეიმო გახსნა.

აი შეჯიბრების პირველი დღის კალენდარი:

18.00 საათზე ჩეხოსლოვაკია— ფინეთი.

20.00 საათზე საქართველოს სსრ—აშშ.

21.30 საათზე სსრ კავშირი (ოლიმპიური ნაკრები) — **სსრ კავშირი** (ახალგაზრდული ნაკრები).

დღესვე, დღის 1 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია აწყობს ტურნირისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციას.

სპორტი

დანაშაულობათა კვალდაკვალ

ბედი ლოთი კაცისა...

ხულიგნებმა ღირსეული სასჯელი მიიღეს

არ მუ იშვიათად დილაუთენია წააწყდებით ასეთ სურათს: გამოჯე, ალალი შრომის ადამიანები მხრარულად, სჯა-ბაასით მიიჩქარიან სამუშაოსაკენ, ხოლო მუქთახორებს — ლოთების პატარა-პატარა ჯგუფებს კი უკვე მოუსწრიათ თავისი საწადელის შესრულება. ისინი გამობუჟეებული, ძილგატეხილნი ლუდის წერტილებთან, სახაშეებთან, რესტორნებთან წრიალებენ, ახალ საკბილოებს ეძებენ, თან გუთავეველი ყაყანით არყის ვრადუსების სიძლიერის შესახებ მსჯელობენ.

ბოლოს ეტყვით: ნუთუ ამ ადამიანებს არც ოჯახი აქვთ, არც ცოლშვილი ყავთ. განა დღენიადაგ ასე უქმად შეიძლება დროის ჩაკვლა?

და ბევრჯერ ეს ლოთები ჩქარდავენ, აბუზად იგდებენ გამვლელსა და გამომვლელს, ხულიგნობითა და დანაშაულის ჩადენით ტკბებიან, ერთობიან, აწუხებენ საზოგადოებას.

ოცდათორმეტი წლის კაცია მაილეს ხარიტონის-ძე საყვარელიძე, მაგრამ ბიჭებში უკვე დაიმსახურა მაგარი მსმელის სახელი და ამით ამაყობს კიდეც.

იმ დღესაც მაილეს საყვარელიძემ, ჯერ ჭაჭის არაყი სვა, მერე ცივი ლუდი დააყოლა, ბოლოს — შუშხუნა შამპანური და გასაროობად ამ ჯერად აკაკი წერეთლის პროსპექტი აირჩია.

მან ავტობუსის გაჩერებასთან ბაზაართა შორის ორი უცნობი გოგონა შენიშნა. მოურიდებლად მიუახლოვდა, ვეერდში აეტაცა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის წარჩინებული სტუდენტი მარეხი და ციალა ღუდუშაურები დაუპატიჟებელ სტუმარს გაირიდნენ.

მ. საყვარელიძემ ერთ-ერთ დას სტაცა მკლავში ხელი.

— ხმა, კრინტი-მეთქი.

ატყდა აურზაური. გამვლელ-გამომვლელნი შორი-ახლოს დადგნენ ზოგმა ქალიშვილის შველა გაიკლო გულში, მაგრამ ვერა ბედავდა. ლოთი ბობოქრობდა, თუ სადმე უშვერი სიტყვების მარაგი მოეპოვებოდა, ყველა დახარჯა, მიწასთან ასწორებდა უდანაშაულო, უმწეო გოგონას.

ამ დავიდარაბაში ავტობუსიც ჩამოდგა ი. და მ. ღუდუშაურები ხელიდან გაუსხლტნენ ორჯეხა მხიცს, სწრაფად მეცვივდნენ ავტობუსში, მაგრამ ვათამამებულმა ხულიგანმა მოუსწრო, მ. ღუდუშაური მანქანიდან ძირს ჩამოათრია და ცემა დაუწყო.

ნაცემი გოგონა ბრძოლას რომ კარგავდა, ლექციების ჩასაწერი რვეული ხელიდან ჩაუვარდა, ლოთმა ხულიგანმა დაიჩინვი დახედა გამარჯვებულის იერით და გაქცევა გადაწყვიტა. მაგრამ სწორედ ამ დროს ვიღაც ჭაბუკი პერისპირ ეკვეთა, თავგასული ლოთი შებოჭა და იგი მილიციაში მიაბრძანეს.

პირველი მაისის რაიონის სახალხო მოსამართლემ ს. მიღორავამ სასამართლო პროცესზე ხულიგან მ. საყვარელიძეს ასეთი შეკითხვა მისცა:

— წინათ თუ იყავით ნასამართლევი და რისთვის?

— მაშინაც ღვინომ შემაცდინა, სწორედ ასეთ საქმეზე, ოხუნჯობისათვის პასუხისგებაში მიმეცეს...

როცა მოწმეები სასამართლო პროცესზე ამ გარეშეული სურათებს აღწერდნენ, დამსმენელ ცალი თვალით ზომავდა თვითეულს და თან ერთსა და იმავეს იმეორებდა: მე რა ვქნა, ღვინის ბრალია...

დასრულდა ლოთი-უქნარა ხულიგნის საქმე. სახალხო სასამართლომ მ. ხ. საყვარელიძეს ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სასჯელის მოხდით.

სახალხო მოსამართლემ კერძო განჩინება გამოიტანა იმ ბაბუკის კეთილშობილურ საქციელზე, რომელიც გოგონებს მიეშველა.

ვინ არის ის?

ჯუმბერ შოთას-ძე მახარაძე. სწორედ მან იხსნა განსაცდელისაგან დები ღუდუშაურები. ჯუმბერ მახარაძე კომკავშირის 26 კომისრის რაიკომის სარეკვიზიო კომისიის თავმჯდომარეა. ის ოდნავაც არ შეუშინდა ხულიგნის მუქარას.

თბილისელი ა. თ. ხალგანიანი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას სათოფეთაც არ ეკარებოდა. მუდმივმა ლოთობამ ბეკუა დააკარგვინა, მკვლელად აქცია. მან წუთისოფელს გამოსალმა ხრულიად უდანაშაულო ადამიანი, თავისი მეზობელი. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მკვლელს შეუფარავი სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, რაც სისრულეშია მოყვანილი.

ლოთმა ხულიგანმა გ. ი. ტეტიაძეიმა და ტ. გ. კვანტალიანმა მხეცურად სცემეს ქუჩაში მიმავალ მოქალაქეს. დაზარალებული ნაცნობის სახლის კარებისაკენ გაექცათ ხულიგნებს, მაგრამ ისინი იქაც მიეჭრნენ, წაქცევეს და დაალილავეს, სისხლი ამოსვარეს. პირველი მაისის სახალხო სასამართლომ დამსახურებული სასჯელი მიუზღო მათ.

როგორც ჩანს, დედაქალაქის ზოგიერთ რაიონში, უბანში, საწარმოდაწესებულებასა და სასწავლებელში სუსტად არის დაყენებული ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდა, ნაკლებად უსხნიან ადამიანებს, თუ რა უდიდეს ზიანს აყენებს ლოთობა ჯანმრთელობას, ბავშვების და მოზარდების აღზრდას, მთელ ჩვენს საზოგადოებას.

პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან განუხრელად განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ამას წინათ მიღებული დიდმნიშვნელოვანი დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

შ. ჩხატარაშვილი.
თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი.

ა. გოცირიძე.
„კომუნისტის“ სპეც კორ.

ჩოგბურთი

სენსაცია არ მომხდარა

დევისის თასის ფინალის მესამე დღე

რუმინეთისა და საბჭოთა ჩოგბურთელების მატჩის დასკვნით შეხვედრებს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სენსაცია არ მოუტანია. ყველაფერი „პროგრამირებულად“ წარიმართა: ა. მეტრეველმა დაამარცხა ფ. ციერიაკი, ხოლო ი. ნასტასემ — თ. კაკულია.

სამსაათიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ ა. მეტრეველმა შეხვლო ხუთი პარტიის შედეგად დაეჯაბნა მეტოქე — 2:6, 6:4, 1:6, 6:4, 6:3.

თ. კაკულიამ ვერაფერი მოუხერხა გამოცდილ ი. ნასტასეს. მსაჯებმა რუმინელის გამარჯვება აღნიშნეს სამივე პარტიაში — 6:2, 6:2, 6:3.

ამრიგად, რუმინეთის ნაკრებმა საერთო ანგარიშით 3:2 სძლია ჩვენს ჩოგბურთელებს და დევისის თასის გათამაშების საკონტინენტალურ ფინალში გავიდა. იგი 5-7 აგვისტოს ბუქარესტში ავსტრალიის ნაკრებს შეხვდება.



ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ქეთევან ლოსაბერიძე— ევროპის ჩემპიონი

**ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ-ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲛᲐ ᲚᲘᲒᲐᲑᲝᲠᲜᲐᲢᲛᲐ 22 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡᲐᲜᲛ ᲡᲐᲛᲘ ᲝᲥᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲗᲕᲐ — ᲝᲗᲮᲘ ᲓᲘᲡᲙᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ 1207 ᲥᲣᲗᲘ ᲓᲐᲐᲒᲠᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ 70 ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲠᲘᲚᲐᲨᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ—805 ᲥᲣᲚᲐ. ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲖᲔᲪ (ᲛᲐᲗᲘ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲨᲘ). ᲛᲔᲠᲔ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲒᲮᲕᲓᲐ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲠᲐᲫᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲝᲚᲘ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲒᲮᲕᲓᲐ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲗᲠᲘᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲠᲐᲫᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲝᲚᲘ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲒᲮᲕᲓᲐ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲗᲠᲘᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲠᲐᲫᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲝᲚᲘ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲔᲗᲠᲘᲚᲘ